

1. ინტერდისციპლინური სამაგისტრო პროგრამის დასახელება: “ეკოლოგია, ბიოგეოგრაფია და ისტორიული გეოლოგია”.

Interdisciplinary Master Programme: “Ecology, Biogeography and Historical Geology”.

მაგისტრატურაში სწავლის მსურველთა რიცხვის შესაბამისად, სწავლება განხორციელდება ორი ფორმით – ერთიანი სასწავლო პროგრამით, ან მოდულებით.

2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მაგისტრი (ეკოლოგია, ბიოგეოგრაფია და ისტორიული გეოლოგია)
MSc. in Environmental Sciences (Ecology, Biogeography and Hystorical Geology)

3. სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი: ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი არნოლდ გეგეჭკორი

პროგრამისა და მოდულების ხელმძღვანელები:

გია ქაჯაია – თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
თბილისი, ყიფშიძის 9, ბინა 49, ტელ.: 22-79-94, 8 99 43-50-43.

ნოდარ ელიზბარაშვილი – ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ტელ. 25 33 13 (სამს), 64 76 86 (ბინა) E-mail:georgia@hotmail.com

გურამ დონდაძე – ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, გეოლ.-მინ. მეცნიერებათა დოქტორი.
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 29/2, 39 41 23 (ბ), 29 00 12 (სამს),
E-mail: guramghongadze@rambler.ru

3. სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები.

სამაგისტრო პროგრამაზე ჩაბარება შეუძლიათ ბიოლოგიის და გეოგრაფიისა და გეოლოგიის ბაკალავრის ხარისხის მქონე პირებს. ასევე შესაძლებელია მაგისტრატურის სათანადო კურსი გაიარონ უნივერსიტეტის ზუსტი და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სხვა დარგებდამთავრებულმა ბაკალავრებმა – ქიმიკოსებმა, ფიზიკოსებმა, მათემატიკოსებმა და ა.შ. ამიტომ, საგამოცდო პროგრამა აგებული იქნება სამი დარგის ფუნდამენტურ ცნებებსა და პრინციპებსზე, რომელთა ათვისების შესაძლებლობა ექნებათ არაბიოლოგებსაც – გეოგრაფებსა და გეოლოგებს (სამუშაო გამოცდილება აუცილებელი არ არის).

მაგისტრატურაში ჩაბარების მსურველებმა სასურველია წარმოადგინონ ინფორმაცია სამეცნიერო კონფერენციებში, ექსპედიციებში მონაწილეობის შესახებ (აღნიშნული ინფორმაცია სავალდებულო არ არის, იგი უპირატესობას ანიჭებს სტუდენტს მისაღებ გამოცდებში ერთნაირი ქულების მოპოვების შემთხვევაში).

სასურველია პროგრამაზე შემომსვლელი ფლობდეს რომელიმე უცხო ენას და ძირითად კომპიუტერულ პროგრამებს (Microsoft Office Programs, Internet).

4. პროგრამის ანალოგები

Analogues of the programmes:

უნივერსიტეტის დასახელება	ქვეყანა	web-გვერდი
აღმ. ინგლისის უნივერსიტეტი	დიდი ბრიტანეთი	www1.uea.ac.uk www1.uea.ac.uk/cm/home/schools/sci/env/courses/masters/tdeg/ MSc + in Environmental + Sciences

დუბლინის უნივერსიტეტი, ტრინიტის კოლეჯი	ირლანდია	www.tcd.ie www.tcd.ie/Graduate-_Studies/prospectivestudents/courses/taught/coursepg.php?course_id=132
ბაზელის უნივერსიტეტი	შვეიცარია	www.unibas.ch www.unibas.ch/index.cfm?uuid
ციურიხის უნივერსიტეტი, გარემოს მეცნიერებების ინსტიტუტი	შვეიცარია	www.uzh.ch www.uzh.ch/uwinst/index.php?site=teaching/master/master
ლანკასტერის უნივერსიტეტი	დიდი ბრიტანეთი	www.lanc.ac.uk
უმეას უნივერსიტეტი	შვედეთი	www.umu.se www.umu.se/soc_econ_geography/tourism/avancerad.html
ნიუ საუთ უელსის (UNSW) ბიოლოგიის, დედამიწის და გარემოს შემსწავლელი მეცნიერებების ფაკულტეტი	ავსტრალია	www.unsw.edu.au www.bees.unsw.edu.au

5. სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

პრეამბულა. XVI-XIX საუკუნეებში განხორციელებულმა უდიდესმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა ცხადი გახადეს დედამიწის ბიომრავალფეროვნება. ეს არის დაახლოებით 1,5 მილიონი სახეობის ორგანიზმი, გაერთიანებული ცოცხალ ორგანიზმთა 5-6 სამეფოში.

სიცოცხლის განვითარების კანონზომიერებები აისახა ჩ. დარვინის პარადიგმულ ნაშრომში – “სახეობათა წარმოშობა . . .” (1859).

სიცოცხლის წარმოშობაზე პირველი თეორია, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შემუშავებული იქნა ა. ოპარინისა (1924) და ჯ. ჰოლდენის (1929) მიერ. დედამიწაზე სიცოცხლის ავტოქტონური გზით წარმოშობის შესაძლებლობა ექსპერიმენტულად დაადასტურა ა. მილერმა (1953).

მეცნიერებას ცოცხალი ორგანიზმებისა და გარემოს ურთიერთობის შესახებ – ეკოლოგია, საფუძველი ჩაუყარა ე. ჰეკელმა (1866), XX ს-ის 20-30-იან წლებში ვ. ვერნადსკიმ შექმნა ზოგადი მოძღვრება ბიოსფეროზე (დედამიწის ცოცხალი ორგანიზმებით დასახლებული გარსი).

სიცოცხლის გეოგრაფიაზე (ფიტო-, ზოო-, ბიოგეოგრაფია) მოძღვრების შექმნაში დიდი წვლილი შეიტანეს ა. ჰუმბოლდტმა (1807-1834), ა. დეკანდოლმა (1855), ა. უოლესმა (1876). ისტორიული გეოლოგიის განვითარებას უდიდესი ბიძგი მისცა ჩ. ლაიელმა (1866). ა. ვეგენერის კონტინენტების დრეიფის პარადიგმულმა თეორიამ (1912), რომელმაც 1960-იანი წლებიდან "ფილების გლობალური ტექტონიკის" სახელწოდება მიიღო, არაერთ გადაუწყვეტელ პრობლემას გასცა პასუხი ბუნების შემსწავლელ მეცნიერებათა მრავალ დარგში.

თანამედროვე მეცნიერება ხასიათდება ცალკეულ დისციპლინებში, მათ განშტოებებში ღრმა სპეციალიზაციით. აღნიშნულმა დიდი წარმატება მოუტანა ამ დისციპლინებს. მეორე მხრივ, დედამიწის გეოგრაფიულ გარსში, ბიოსფეროში, ეკოსისტემებში მიმდინარე რთულ პროცესებში ჩასაწვდომად, ცოცხალ და არაცოცხალ ბუნებაზე გეოლოგიური ფლუქტუაციების თანახმად, ანთროპოგენული პრესის დასადგენად, აუცილებელია გარემოს დარვინისეული, ჰუმბოლდტისეული, ჰეკელისეული ინტერდისციპლინური ხედვა.

კავკასია ევროპასა და აზიას შორის თავისი ექსტრადინამური, საკვანძო მდებარეობით, ორგანული სამყაროს იშვიათი ჰეტეროგენურობით გამოირჩევა.

მისი ორი რეგიონი – კოლხეთი და თალიში – მიოცენურ-პლიოცენური წარმოშობის რელიქტებით, ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი რეფუგიუმებია ზომიერი კლიმატის ევრაზიაში. კომპეტენტური გარემოსდაცითი საერთაშორისო ორგანიზაციების – IUCN, CEPF-ის მიერ კავკასია, თავისი ბიომრავალფეროვნებით შეტანილია მსოფლიოს 25 უმდიდრეს, ერთდროულად საფრთხეში მყოფ ეკორეგიონს შორის – “ცხელ წერტილში”.

კავკასიის ბიომრავალფეროვნება ყველაზე მეტად საქართველოშია ფოკუსირებული. ჩვენს ქვეყანას ლანდშაფტების მრავალფეროვნების მხრივ მსოფლიოში მეცამეტე ადგილი უკავია!

ზემოთ თქმულიდან ცხადია, თუ კავკასია და, კერძოდ საქართველო, როგორც *in vivo* ლაბორატორია, რა უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს მეცნიერ-ბუნებისმეტყველებისთვის, რა დიდი პერსპექტივა აქვს მას ეკოტურიზმისა და სამეცნიერო ტურიზმის გასაავითარებლად.

დამოუკიდებელი საქართველოს ახალგაზრდობის ერთი ნაწილის – მომავალ ბუნებისმეტყველთა – XXI საუკუნის დასაწყისის შესატყვისი ცოდნით აღჭურვისა და სათანადო ხედვის გამომუშავებისათვის, ცალკეულ საგანში ღრმა სპეციალიზაციასთან ერთად, აუცილებელია მათი მულტიდისციპლინური განათლება. სათანადო სფეროში ასეთ ინსტერდისციპლინურ დარგებად მიგვაჩნია ეკოლოგია, ბიოგეოგრაფია და გეოეკოლოგია, ლანდშაფტური გეოგრაფიის სხვა დარგებთან და ისტორიულ გეოლოგიასთან ერთად.

მსგავსი კონცეპტუალური ხედვა უდევს საფუძვლად წარმოდგენილ სამაგისტრო პროგრამას. იგი აპრობირებულია ევროპის, აშშ-სა და ავსტრალიის უნივერსიტეტებში და ისწავლება გრიფებით – “გარემოს შემსწავლელი მეცნიერებები” (Environmental Sciences) და “გარემოს შემსწავლელი გეომეცნიერებები” (Environmental Geosciences).

სამაგისტრო პროგრამა – “ეკოლოგია, ბიოგეოგრაფია, ისტორიული გეოლოგია” – ეყრდნობა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სამი დარგის: ბიოლოგიის (ბიომრავალფეროვნება, ეკოლოგია), გეოგრაფიის (სხვა დარგებთან ერთად, ლანდშაფტმცოდნეობა), ისტორიული გეოლოგიის მონაცემებს, ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების შემსწავლელ მეცნიერებებს კი პროგრამაში ინტერდისციპლინური დარგი – ბიოგეოგრაფია აერთიანებს.

პროგრამაში არსებითია ტრიადა: ცოცხალი ორგანიზმები (ნეონტოლოგია); ისტორიული გეოლოგია პალეონტოლოგიის საფუძვლებით (დედამიწის გეოლოგიური განვითარებისა და სიცოცხლის განვითარების ისტორია); ცოცხალ ორგანიზმთა საარსებო გარემო (ეკოლოგია). ყურადღება გამახვილდება ფუნქციონალურ ურთიერთკავშირზე: დედამიწის გეოგრაფიული გარსი (ლითო-, პიდრო-, ატმოსფერო), ბიოსფერო, ანთროპოგენული პრესი.

მიზანი.

1. ფართო პროფილის ბუნებისმეტყველთა მომზადება;
2. ცოცხალსა და არაცოცხალ ბუნებაზე ინფორმაციის შედეგად სტუდენტში საგნებსა და მოვლენებზე მიზეზ-შედეგობრივი კავშირების, ექსტრაპოლაციის უნარის გამომუშავება;
3. მაგისტრანტისათვის მულტიდისციპლინური ცოდნის მიცემა ცოცხალსა და არაცოცხალ ბუნებაზე, ნეონტოლოგიურ და პალეონტოლოგიურ სფეროებზე, რაც ასე აუცილებელია ჩვენს ქვეყანაში ეკოტურიზმის (აღნიშნული ტერმინის ეტიმოლოგიის ზუსტი, პირდაპირი გათვალისწინებით) დანერგვა-განვითარებისათვის.
4. სტუდენტისათვის საბაზისო, მრავალმხრივი ცოდნის მიცემა, რომლის ინტეგრირება “ტურიზმის მაგისტრის” (Master of Tourism) თუნდაც ერთწლიან კურსში, ფრიად ნაყოფიერ შედეგს გამოიღებს.

შედეგი.

1. შემოთავაზებული პროგრამა ის საფუძველია, რომელზედაც დაყრდნობით კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ეძლევა მომავალში სწორი გზით, რაციონალურად განავითაროს თავისი ცოდნა; გადადგას ნაბიჯი სწავლების მისამე ეტაპზე – **დოქტურანტურაში**.

2. მიღებული ცოდნა ბიოლოგიიდან, გეოგრაფიიდან, ისტორიული გეოლოგიიდან, როგორც ითქვა, ფრიად წაადგება დაინტერესებულ პირთ **ეკოტურიზმის** სფეროში სპეციალიზაციისათვის.

3. შემოთავაზებული პროგრამით დაინტერესებული სტუდენტები აითვისებენ საველე და ლაბორატორიული საქმიანობის მეთოდებს; შეისწავლიან მეცნიერების ჩამოთვლილ დარგებში სპეციფიკური ტერმინებს ინგლისურ ენაზე; დაუფლებიან ფოტოგრაფიას: ლანდშაფტების, კონკრეტული – ცოცხალი თუ არაცოცხალი ობიექტების, ბუნების ძეგლების ფირზე გადატანას; სასურველია აითვისონ სამეცნიერო სტატიის გაფორმება, მეცნიერების თემაზე მოხსენების შედგენის სტრუქტურა.

დასაქმების სფერო. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები (ბიოლოგიის, გეოგრაფიის, გეოლოგიისა და სხვა პროფილით); ადგილობრივი, რეგიონული და საერთაშორისო ეკოლოგიური, გეოეკოლოგიური და სხვა პროექტები; კერძო კომპანიები (BP, BTC, GPC და სხვა), რომლებსაც აქვთ გარემოსდაცვითი პროგრამები; გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის, სოფლის მეურნეობის, განათლების და მეცნიერების, ეკონომიკის, თავდაცვის, საგარეო საქმეთა სამინისტროები; არასამთავრობო ორგანიზაციები, სატყეო, მიწათმოქმედების, კადასტრისა და სხვა დეპარტამენტები; ნაკრძალები, ეროვნული პარკები და ზოოლოგიური პარკები; კერძო ზოო- და ბოტანიკური ბაღები და ა.შ. მუნიციპალური სამსახური; ტურისტული სააგენტოები; სასწავლო-საგანმანათლებლო ორგანიზაციები – სკოლები, კოლეჯები, უმაღლესი სასწავლებლები, მუზეუმები და ა.შ.

6. სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა. სამაგისტრო პროგრამა დაფუძნებულია სამი დარგის – ბიოლოგიის, გეოგრაფიისა და ისტორიული გეოლოგიის სწავლებაზე.

სამაგისტრო პროგრამის კოორდინატორები:

ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. დავით მიქელაძე (თსუ ბიოლოგიის ინსტიტუტი)

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. დავით კერესელიძე (თსუ გეოგრაფიის ინსტიტუტი)

გეოლოგია-მინერალოგიის მეცნ. დოქტორი, პროფ. ბეჟან თუთბერიძე (თსუ გეოლოგიის ინსტიტუტი)

მოდულების სახელწოდება და ხელმძღვანელები

- “ბიოგეოგრაფია; დედამიწის ბიომები”, “Biogeography; Biomes of the Earth” (ბიოლოგია, Biology; გეოგრაფია, Geography) – ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. არნოლდ გეგეჰკორი
- “ეკოლოგია და გარემოს კონტროლი”, “Ecology and Environmental Control” (ბიოლოგია, Biology) – ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. გია ქაჯაია
- “გეოგრაფია და გეოეკოლოგია”, “Geography and Geoecology” (გეოგრაფია, Geography) – გეოგრაფიის მეცნ. დოქტორი, პროფ. ნოდარ ელიზბარაშვილი
- “ისტორიული გეოლოგია”, “Historical Geology” (გეოლოგია, Geology) – გეოლოგიის მეცნ. დოქტორი, პროფ. გურამ ღონღაძე

სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული საგნები

№	საგანი	ECTC
<i>სავალდებულო საგნები</i>		
1	ისტორიული ბიოგეოგრაფია	5
2	დედამიწის ბიომები	5
3	ეკოლოგიის საფუძვლები	5
4	გამოყენებითი ეკოლოგია	5
5	გეოგრაფიის აქტუალური საკითხები	5
6	გეომორფოლოგია-გეოეკოლოგია	5
7	გეოინფორმაციული სისტემები და ტექნოლოგიები (GIS)	5
8	ისტორიული გეოლოგია პალეონტოლოგიის საფუძვლებით (პალეობიოგეოგრაფია, პალეოეკოლოგია)	5
9	გარემოს ქიმია	5
10	ინგლისური ენა	10
<i>არჩევითი საგნები ბიოლოგიის მოდულიდან</i>		
1	ბიოლოგიური კონტროლი; ეკოლოგიური პროგნოზირება	5
2	კონსერვაციული ბიოლოგია	5
3	ეკოლოგიური სამართალი, საერთაშორისო ეკოლოგიური პოლიტიკა	6
4	ეკოლუციური თეორია; ადამიანის ევოლუცია	6
5	გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება	6
6	ჰიდრობიოლოგია	5
7	სამკურნალო მცენარეები, პარაზიტოლოგია	6
<i>არჩევითი საგნები გეოგრაფიის მოდულიდან</i>		
1	საქართველოს გეოგრაფია: ბუნება, მოსახლეობა, მეურნეობა	6
2	ლანდშაფტების ეკოლოგია და კადასტრი	6
3	საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემა	6
4	ბიოგეოგრაფიული კარტოგრაფირება	6
5	გამოყენებითი გეოგრაფიის საფუძვლები (კლიმატოლოგია, ჰიდროლოგია, ნიადაგმცოდნეობა)	6
6	ტურიზმი და რეკრეაციული რესურსები; სამეცნიერო-გეოგრაფიული ტურიზმი	6

სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმა

საფაკულტეტო კურსები/მოდულები						
კოდი	საგნის/მოდულის სახელწოდება	ECTC კრედიტები	საკონტაქტო/დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა	საგანზე/მოდულზე დაშვების წინაპირობა	სემესტრი: გაზაფხულის/შემოდგომის	ლექტორი/ლექტორები
	ინგლისური ენა	10	120/130		შემოდგომა/ გაზაფხულის	
საეკლდებულო კურსები/მოდულები						
კოდი	საგნის/მოდულის სახელწოდება	ECTC კრედიტები	საკონტაქტო/დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა	საგანზე/მოდულზე დაშვების წინაპირობა	სემესტრი: გაზაფხულის/შემოდგომის	ლექტორი/ლექტორები
	ისტორიული ბიოგეოგრაფია	5	60/65	ბიოგეოგრაფიის საბაკალავრო კურსი (ეკობიოგეოგრაფია)	შემოდგომის	არნ.გეგეჭკორი
	ეკოლოგიის საფუძვლები	5	60/65	ეკოლოგიის საბაკალავრო კურსი(აუტო-დემ-, სინეკოლოგია)	შემოდგომის	გ. ქაჯაია
	გეომორფოლოგია-გეოეკოლოგია	5	60/65	ფიზიკური გეოგრაფია	შემოდგომის	რ.გობეჯიშვილი ლ. ლალიძე
	გარემოს ქიმია	5	60/65	არარგანული და ორგანული ქიმია	შემოდგომის	გ.სუპატაშვილი
	ისტორიული გეოლოგია პალეონტოლოგიის საფუძვლებით (პალეობიოგეოგრაფია, პალეოეკოლოგია)	5	60/65	გეოლოგიური წელთაღრიცხვა (სკალა) – გეოლოგიურიენები, ერები და პერიოდები	შემოდგომის	გ. ღონლაძე
	დედამიწის ბიომები	5	60/65	დედამიწის ბუნებრივი ზონები	გაზაფხულის	არნ.გეგეჭკორი
	გამოყენებითი ეკოლოგია	5	60/65	ეკოლოგია – აბიოტური და ბიოტური ფაქტორები	გაზაფხულის	გ. ქაჯაია
	გეოინფორმაციული სისტემები და ტექნოლოგიები	5	60/65	საბაზისო კომპიუტერული პროგრამები	შემოდგომის (2009)	დ. სვანაძე
	გეოგრაფიის აქტუალური საკითხები	5	60/65	ფიზიკური გეოგრაფია	გაზაფხულის	ნ. ელიზბარაშვილი
არჩევითი კურსები/მოდულები						
კოდი	საგნის/მოდულის სახელწოდება	ECTC კრედიტები	საკონტაქტო/დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა	საგანზე/მოდულზე დაშვების წინაპირობა	სემესტრი: გაზაფხულის/შემოდგომის	ლექტორი/ლექტორები
	ბიოლოგიური კონტროლი,	5	60/65	გამოყენებითი	გაზაფხულის	ე. აბაშიძე

	ეკოლოგიური პროგნოზირება			ენტომოლოგია და პარაზიტოლოგია		
	კონსერვაციული ბიოლოგია	5	60/65	ეკოლოგიის საბაკალავრო კურსი(აუტოდემ-, სინეკოლოგია)	გაზაფხულის	მ. მურვანიძე
	ჰიდრობიოლოგია	5	60/65	ჰიდრობიოლოგია, ბოტანიკა, ზოოლოგია	გაზაფხულის	ზ. კერესელიძე
	ეკოლოგიური სამართალი; საერთაშორისო ეკოლოგიური პოლიტიკა	6	60/90	ეკოლოგიის საბაკალავრო კურსი(აუტოდემ-, სინეკოლოგია)	შემოდგომის (2009)	თ. ურუშაძე
	ეკოლუციური თეორია; ადამიანის ეკოლუცია	6	60/90	ძუძუმწოვრების, მათ შორის პრიმატების განვითარება გეოლოგიურ წარსულში	შემოდგომის (2009)	არნ.გეგეჭკორი
	გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება	6	60/90	ენდემური და რელიქტური ორგანიზმები მცენარეთა და ცხოველთა სამეფოებიდან	შემოდგომის (2009)	ლ. მაჭავარიანი
	სამკურნალო მცენარეები; პარაზიტოლოგია	6	60/90	ბოტანიკა და უხერხემლოთა ზოოლოგია	შემოდგომის (2009)	რ. გაგნიძე; არნ.გეგეჭკორი
	საქართველოს გეოგრაფია: ბუნება, მოსახლეობა, მეურნეობა	6	60/90	სახლმცხოვრებელთა გეოგრაფია	შემოდგომის (2009)	ლ. მაჭავარიანი
	ლანდშაფტური ეკოლოგია და კადასტრი	6	60/90	დარგობრივი გეოგრაფიული დისციპლინები	შემოდგომის (2009)	დ. ნიკოლაიშვილი
	საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემა	6	60/90	კაკასიის ბიომები	შემოდგომის (2009)	გ. სოფაძე
	ბიოგეოგრაფიული კარტოგრაფირება	6	60/90	ბიოგეოგრაფია	შემოდგომის (2009)	გ. ლიპარტელიანი
	გამოყენებითი გეოგრაფიის საფუძვლები (კლიმატოლოგია, ჰიდრობიოლოგია, ნიადაგმცოდნეობა)	6	60/90	ფიზიკური გეოგრაფია	შემოდგომის (2009)	ვ. ტრაპაიძე, პ. კალანდაძე
	ტურიზმი და რეკრეაციული რესურსები; სამეცნიერო-გეოგრაფიული ტურიზმი	6	60/90	ეკოლოგია, ბიოგეოგრაფია, დედამიწის ბიომები	შემოდგომის (2009)	გ. მელაძე
სამაგისტრო ნაშრომი		30			გაზაფხულის (2010)	

10. სასწავლო-სამეცნიერო მუშაობა და მატერიალური-ტექნიკური ბაზა.

მაგისტრების მომზადება მოხდება თსუ ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ზემოთ ჩამოთვლილი ინსტიტუტების ბაზაზე, არსებული კომპიუტერული ტექნიკის, ბიბლიოთეკებისა და ლაბორატორიების გამოყენებით. ისინი აღჭურვილია სათანადო ხელსაწყო-აპარატებით. მიმდინარე და განსაკუთრებით, მომავალ წელს უნივერსიტეტის რექტორატის ინიციატივით მოხდება მათი დამატებითი აღჭურვა კიდევ უფრო თანამედროვე, მაღალეფექტური აპარატებითა და ხელსაწყოებით.

სამაგისტრო შრომისთვის საჭირო საველე სამუშაოები შესრულდება სხვადასხვა გრანტების, მივლინების, არასამთავრობო ექსპედიციებში მონაწილეობის ფარგლებში. სამაგისტრო პროგრამაში მონაწილე პროფესორ-მასწავლებლები მჭიდროდ თანამშრომლობენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის, ზოოლოგიის, გეოგრაფიის, გეოლოგიის ინსტიტუტებთან, ეროვნულ მუზეუმთან, მცენარეთა დაცვის ინსტიტუტთან და სხვა სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან.